ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7452973

ნომერი: AR11087254

თარიღი : 14.04.2025

გაცემის თარიღი : 23.04.2025

გაცნობის თარიღი : 23.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის ქუჩა N54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 14 აპრილის №AR11087254 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

10 აპრილის №7443676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.10.002.232 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 10 აპრილიდან 2027 წლის 10 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში დაფიქსირებული ნიშნულები არ ემთხვევა ამავე ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის და კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში მე-4, მე-5 და მე-6 ეტაპებში მითითებული ნიშნულები, ამავე ბრძანებით შეთანხმებულ ჭრილებზე, ფასადებზე და გეგმებზე არ არსებობს. ამასთან, დგინდება, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტის და კალენდარული გრაფიკის მე-4, მე-5 და მე-6 ეტაპებში მითითებული ნიშნულები ფიქსირდება შეთანხმებულ ჭრილებზე, ფასადებზე და გეგმებზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მე-4, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4) ძირითადი კარკასის მონტაჟი +10.40 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით);
5) ძირითადი კარკასის მონტაჟი +26.40 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით);
6) ძირითადი კარკასის მონტაჟი +42.40 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით)“.
2. სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტით და კალენდარული გრაფიკით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 10 აპრილის №7443676 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.